

ელექტრონული ტენდერის საშუალებით ონკანები, ვენტილები, სარქველები და მსგავსი ნაწილების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

- ადმინისტრაციის უფროსი - ივანე მაისურაძე
- სამეცნიერო ტექნოლოგიური დეპარტამენტის უფროსი - სულხან შალამბერიძე
- ამორფული ბორის წარმოების განყოფილების უფროსი- დავით ზენაიშვილი
- ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი - ვახტანგ უგრეხელიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი - ნუგზარ კალანდაძე

სხდომას არ ესწრებოდა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გენერალური დირექტორი - გიორგი ესაძე

დღის წესრიგი:

- ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ონკანები, ვენტილები, სარქველები და მსგავსი ნაწილების (CPV42130000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, განსახორციელებელი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს: სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის - ნუგზარ კალანდაძის ინფორმაცია

ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ონკანები, ვენტილები, სარქველები და მსგავსი ნაწილების (CPV42130000) სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებელი სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ. ნათქვამი იყო, რომ 2019 წლის 18 მაისს აღმასრულებელი დირექტორის სახელზე შემოვიდა სამსახურებრივი ბარათი რომელშიც იყო ბორის იზოტოპების გაყოფის განყოფილების უფროსის: აკაკი ერიკაშვილის მოთხოვნა: ბატონო ვახტანგ, ბორ-10 იზოტოპით გამდიდრებული ბორის სამეთორიდის საწარმოო დანადგარის შესაქმნელად საჭირო მასალა-მოწყობილობების შესყიდვების გეგმის შესაბამისად გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს შემდეგი მასალა-მოწყობილობის შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დადგა ელექტრონული ტენდერის გამოცხადების აუცილებლობა.

დაადგინეს: 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს,

ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ონკანები, ვენტილები, სარქველები და მსგავსი ნაწილების (CPV42130000) სახელმწიფო

შესყიდვის განხორციელების სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით:

- სატენდერო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი) და ფასების ცხრილი - დანართი N1;
  - საქონლის მიწოდების გრაფიკი ვადა და ადგილი - დანართი N2;
  - ანგარიშსწორების პირობები და ვადები - დანართი N3;
  - ტექნიკური პირობები - დანართი N4;
  - საგარანტიო პირობა და ვადა - დანართი N5;
  - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ(ფორმა);
2. ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 420 000.00 ( ოთხას ოცი ათასი ლარი)ლარი.
3. ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდი NAT
4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის და „ ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის და მე-16 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოს წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის N1 ოქმის, დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2019 წლის 5 ივლისი.
5. სატენდერო დოკუმენტაცია დანართის სახით თან დაერთოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს.

კომისიის წევრები:

კომისიის წევრი

\_\_\_\_\_ ივანე მაისურაძე

კომისიის წევრი

\_\_\_\_\_ სულხან შალამბერიძე

კომისიის წევრი

\_\_\_\_\_ დავით ზენაიშვილი

კომისიის წევრი

\_\_\_\_\_ ვახტანგ უგრეხელიძე

კომისიის აპარატის წევრი:

აპარატის წევრი

\_\_\_\_\_ ნუგზარ კალანდაძე